13/45 20
ეროვნ.

ასპი

№ 2.

1920 წ.

ლადო მაჭავარიანის
რედაქტორობით

სოფელი ჩოხატაური
ნიკო ფიროსმანი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ლადო მაჭავარიანი	ჯვარცმის ლეგენდა
გალაქტიონ ტაბიძე	შავი პელიკანი
რაჟდენ გვეტაძე	მესტები
გრიგოლ ცეცხლაძე	ყიჟინი მსოფლიოში
შალვა კარმელი	აპოკალიპსის ცხენები
ვასო გორგაძე	რეკვიემ
კ. პიპინაძე	სონეტი
შ. ლორდელი	კოციტი
გრ. ზოდელი	ძველი ხსოვნები
აკ. ბერეკაშვილი	აე-XVIII-ტე საუკუნის ლურჯი თვალები.
ვ. გორგაძე	დავით გურამიშვილი.

რედაქტორი ლადო მაჭავარიანი.

Y803

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა
Библиотека
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

ლადო მაჭავარიანი

სულის ტყვეობა

ქალაქში უეცარ კერპთმსახურებით:—
რკინის ხაფანგებს ვიღაც გვახვედრებს,
„ჩემი ქუთაისი“ თეთრ საფეხურებით;
ტფილისის დამწვარ გულს მოახვერდებს.
ცრემლიან სიშორეს მთვარეს დავამისებ,
თუ გამახსენდება: ღვეძელი ნაზუქი,
სოფელში დარჩა ყრმობის სიხალისე:
ჰყვირიან ღორები საშობოთ ნასუქი
სიზმრებს აება დუქნური ნისია
ღამეში როსკიპი თანახმდება ვერცხლზე.
ქალაქის თვალები დამწვარი ისევ;
ვით თუჯის კარდაღი სპილენძის ცეცხლზე
მოუსვენარ ქუჩებს ფიქრი მოერია
შუადღე რომ სწვავს მინის ფერ ლაქებს,
ლოდინი გაფრინდა მზეს უმღერიან:
სად დაათენდება სატახტო ქალაქებს?..
ან თუ ატირდება უფრო უცნაურად,
და აიჩეხება უდაბნოს კბილებზე,
გრაფი ისევ დარჩა ტახტის აზნაურად,
დამწვარი ხელებით რკინის გრეხილებზე.
სოფლური ალერსი თოვლში დაეცა.
გვაწამებს მზის ტანზე დანთილი კერასი,
ქალაქში დაჭლექება ფიცით გადმოგვეცა;—
მთა რომ დააღონა იჭვით ბუმბერაზი.
თუ ვკლავ გავთეთრდები ქალაქის სიშავით.
ისევ ავენთები რაინდის ლოცვად,
სოფელში სუფთა და ფაქიზი ვიყავით.
დღეს მახრჩობს მტვერი ფრჩხილების მოწვად.

ჯვარცმის ლეგენდა

მრისხანე გულის გაციებულ სისხლში ფართხალი.
იღვრება ცეცხლზე წითელ ძაღლის ბალიკარტებით.
ჰაეროპლანებს ეჭიდება ხალხი დამფრთხალი.
მიდის ქვეყანა შეშლილ თვალის ნაწერ ქორტებით.
დამსკდარ სათიბში ლაგდებიან მაიაკები.
ფარავს სიცივე ცას შეხეულ ჰორიზონტებით.
დამპალ ციების გველურ ხმაზე აწიაკება.
უპირებს არტახს ქალაქის შფოთს გაშლილ ზორტებით.
უსახო ქარში ქრება ტვინი დანადუღარი.
ხერხემალს მართავს შავი მატლი ფრთებ დაკუნტული.
სისხლს ანახშირებს ყვითელ ალზე გძელი ბუხარი.
და იკეტება საუკუნის ყველა კუნჭული.
ყალბი მადონა და ყრუ მარკხით ნაპალეონი.
შეუღლდებიან გამხდარ ფერით გადამწყვეტ როლში.
შერჩება თვალი შავ არშიებს და პანთეონი: —
გადამწყვდევს დაჭრილ ჯიოკონდას ბადის ნასროლში
ცა უეცარი და ლეგენდა გიპერბოლებით.
გადაგრეხს ლანდის გარკინებულ ლილისფერ მაჯებს
გადირბენს ზანტი გადავარდნა რუხ სპილოებით.
და დასთხრის კბილებს წითელ რქაზე შემდგარ ფინაჩებს.

გალაქტიონ ტაბიძე

„შავი პელიკანი“

გადმოფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს—
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს
ღვე მიდის ეს ზამთარი
ცივი სულის მდევარი,
ასე სტირის საზანდარი
უქმი შემაქცევარი
გამაგონეთ საჲათნოვას
დაჟანგული ჰანგები—
მიეთოვოს მოეთოვოს
კედლებს ფარშავანგები
სული ტირის და როს ნანას
კოშკო საჰაკ, მპირდები,
დამანებე ფიროსმანას
შემოდგომის ტვირთები.
ასე წავა ეს ზამთარი
ცივი სულის ტკივილი
საზანდარი, საზანდარი
და კახპების კივილი.
ოცნებაო ჩემო ძველო,
ვართ ღამეთა მთეველი—
მხოლოთ ერთი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი.

რაჟდენ გვეტაძე

დიდი საქართველო

ქართველ რაინდებს აღარ ახსოვთ ღამე საბანი.—
თავის განწირვა ძველებური რჩეულებს მართებს.
შმაგ სიყვერულით ვერ ამჩნევენ ნაკიან მარტებს.—
სურთ დაუკარგონ უამარ მტერს თავის სამალი.

შორს უნდა იქნეს საქართველოს დროშის სამანი.
გამარჯვებულნი ვაძალებდეთ ერთმანეთს კვარტებს.
და ახალს ვწერდეთ გადიდებულ საზღვრების ქარტებს,—
რომ სოლომონმა გაიხაროს იასამანით.

თამარის სახე გაგვიშუქებს დღეებს ბინდიანს,
კენარი ტანით თვალს წაგვართმევს როგორც ტირიფი
(თაფლის სანთელი მის ფეხებთან ეხლაც მინთია).

საშიშ ბრძოლაში ქართველები ვართ მადიანი,
და ჟორდანიას არ აშინებს გზები ირიბი.—
რასაც აღნიშნავს საარაკოთ მემატიანე.

მესტები

დიდ მარხვაში ბალ-მასკარადს მართავენ
და გავიგე შეგიკერავს მესტები.
შენს მზადებას სხვანაირათ მარტავენ.—
იმ მასკარადს რომ დავესწრო ვეცდები.
შენზე ფიქრმა სული სევდით მოქობა
დამრჩა ოხვრა შენი ტრფობის ქირაში.
როს ბაბუა საშიშ ზღაპრებს მოყობა
მე ვზიარობ თევდორობის კვირაში.
ხვალვე ვნახავ უსათუოდ მარჩიელს,
და გავიგებ: ვინ გყავს დასაფიცარი.
თუ სხვა გიყვარს მე მადარებ ნარჩიელს—
სჯობს გამიტყდეს დანით გულის ფიცარი.
ტკბილი არის ვით ყანაში სამხარი
შენი ნაზი ლაპარაკით დათრობა.
თუმცა ჩემთვის არის დაუსამხარი,—
მასკარადზე ვერ გაგიწევ ხათრობას.
მსურს დაგაბა, მაგრამ გაიქაჩები.—
როგორც მავრი ეშვებს ველარ ვიცილებ.
როცა წვიმს და ბნელში ცეკვავს ქაჯები:
ძველ ბუხართან, როგორც კატა ვიძინებ.
მიყვარს რითმა შენებრ გაუგონარი
როგორც დედას პირველ შვილის დარწევა.
მესიზმრება: შენი თმების ზონარი,
და მესტებით გავხარ უცხო არსებას.

თბილისი.

გრიგოლ ცეცხლაძე

უმიზეზო ღიმილი

მე უმიზეზოდ გაღიმებულს ზარმაც ტფილისელს
მინდა რომ ვიყო უფრო წვრილი, უფრო მაღალი
(მოჭალაჭენო, ნუ აწუხებთ გონებას ფხიზელს,
რომ გამოსძებნოთ ჩემს ლექსებში სიბრძნე ახალი);

მე გული მომდის, თუ გონება მავალებს ზრუნვას
და მიყვარს ჩემი უსაქმური ხმელი თითები,
ოცდაოთხ საათს მოვანდომებ სარკესთან ბრუნვას,
ავარჩევ პოზას აღმართიანს, მე რომ მიხდება...

დაფენილ დღეებს თუ შევნიშნე იჭვი და რყევა,
მოვსწევ თამბაქოს მხოლოთ მიტომ, რომ ადგეს ბოლი,
დაიძრა ქარი და არ ვიცი ფიქრს სად გივყევარ,
სიზმარი ძაღლებს ააყეფებს, როგორც სტამბოლი.

ყიჟინი მსოფლიოში

აღმართიან გზებზე,
პოზა საჰარის მონიავების წყალობით
ურიცხვი აღმოჩნდა.
დაეშო თავის დღით ქაჯეთის ციხე დავიწყებაში
და ეხლა მე ვარ მხოლოდ **ნეგრი გოლიათი**
ყველაზე უფრო რომ მიამა **ყიჟინი მსოფლიოში.**
კულტურით თანდათან აზია მოირთო და შიშით
თვალები წარსულთა მარიდებენ ასროლილ წამწამებს რადგან მოელიან

მე სოციალისტი

ბრწყინვალე მეფეებს მივმართავ **შენობით.**

შალვა კარმელი

აპოკალიპსის ცხენები

...და ვიხილე, აჰა ცხენი სპეტაკი...
გამოცხ. იოანეხი.

ძრწოდე ქვეყანავ! ღმერთის ქადება
თავზე დაგატყდა მძაფრი წყენებით.
თვით იოანეს გამოცხადება,—
მოთქარათქურობს სპეტაკ ცხენებით.

ხსნის წიგნის ბეჭდებს დაკლული კრავი:
მიწის ძვრით: ცეცხლით, რომ ცოდვა მოქრეს.
ჰქრიან ცხენები: წითელი, შავი
და მწვანე ცხენით სიკვდილი მოჰქრის!

შვიდ ანგელოზის საყვირის ხმაზე:
მზე ჩამობნელდა... ცა იგრაგნება.
აფსინდი მოწყდა... დაღუპვის ხაზი...
არ არის შველა... გზების გაგნება!

მისდევს დედაკაცს ვეშაპი ციდან.
გაგვაწარმართებს ხატება მხეცის...
ჩვენთვის არ არის არარა წმიდა...
ჩვენთვის დაიხშო კარები ზეცის.

და ბაბილონი: დიდი, ძლიერი,—
დაეცა სწრაფად ცეცხლის წვიმებით.
ვით დედოფალი მრუშ ბარძიმებით,—
მეტად ავხორცი და მიწიერი!

ღვთის წყალობით სავსე ლანკნების ნთხევა—
ელვურ გრიალში სხვერპლად აგვარჩევს...
ჩვენ დაღუპულებს: ო, ევა, ევა,—
ვინ შეგვიბრალებს! ვინ გადაგვარჩენს!

მოვიდა განსჯა: ვინც მაღლა ჰფრენდა,—
ყველა მართალებს—სუფევა ელის...
ალლილუია! უფალო შენდა!.—
იკმევა ლოცვა ოცდაოთხ ღვდელის.

დგება ქალაქი: სხვა, ნორჩი,—წვიდან,
ვით საღვთო სძალი კრავისთვის შებით.
წმიდა ხარ წმიდა! წმიდა ხარ, წმიდა,—
ო! ერუსალიმ, ძვირფასი ქვებით!..

ვ. გორგაძე

აკაფისტი ღვთისმშობელს

ავდრიან ღამით მარტოობა მაწუხებს მეტად,
გიგონებ ხშირად. და შორეულს გიგზავნი ბარათს.
უომედობით მწარე სევდის ვარ ანაბარად
და მწუხრის ჟამზე, სასოებით, ვლოცულობ კენტად.
წმინდა ქალწულო! შეივრდომე სული წყეული.—
მე—უბედური ძველ ძონძებით ვდგავარ შენ წინა.
ცხარე ცრემლებით ვალბობ ხატებს თვალ დახეული—
გთხოვ: მიუტევო ჩემ ცოდვილ სულს თუ რომ გაწყინა.
როდესაც გიმზერ: მინდა: კრძალვით გაკოცო ხელზე—
თრთოლვით ავლოკო თეთრი სახის ლურჯი ხალები,
მაგრამ, ვით მწირი, მეტანიით მე ვიღალები
და მელანდება: თითქოს გველი მეხვევა ყელზე.
დავაქროლ სანთელს და ოთახში კანკალებს ღამე!
მახრჩობს სიბნელით მყუდროება ფიქრით ნაღალი—
მუხლ მოკეცილი გევედრები, როგორც საწყალი—
Ave Maria მანუგეშე, მითხარი რამე.

Rekuiem

დავფურცლავ წიგნებს მაგიდაზე ყვითელი ყდებით
სადაც სურნელობს საუკუნეთ რიტმი მარადი,
როცა შავ ფურცლებს სასოებით ჩავაშტერდები—
სულში ინთება მოგონება ნაზ ნარნარადი.
ვფიქრობ: მეფეებს სამუდამოთ აწ გარდაცვლილებს
წითელ პურპურით რომ ამკობდათ ოქროს ტაროსი
ავი დროების ჟამთა დენით სისხლით დაცლილებს
ამაოებით დაეუფლათ ცივი ქაოსი.

მეც წავალ ასე. ვით სარკეში მთვარის ფერვალი
გადიფრენს წლები. და შემდეგ კი ვინ მომიგონებს?
არვის მოხიბლავს ჩემი ხსოვნის ყრუ ნატერფალი
და არ მახსენებს ვით ამ წიგნის ფერმკრთალ სტრიქონებს..
სიკვდილი სთიბავს ყოველივეს მკვეთრი და ბასრი!.
მწარე რეკვიემს გოდებს სკრიპკა და რიტურნელი—
ო, ეს წიგნები დამტვერული ჟამთა სიმკაცრით,—
ო, მათი სევდა სამუდამო, განუკურნელი!

კ. ჭიჭინაძე

სონეტი

კვლავ აგარაკი მაგონდება მწვანე ბაღებით.
(ამ ძვირფას ხსოვნას თავი ჯერაც არ გავანებე)
დილით იქ მთები ამაყობდნენ მზის ვარაყებით,
და მწუხრს შვენოდენ სისხლისფერი არღავანები.

პლატო. აბანო... ახ, ნეტა ვინ დაჰყო ვანებად
უცხო სასახლე მარმარილოს თეთრი თაღებით?!
იქ შენი ტანის საკვირველი ახოვანება
გრძელ კიბეებზე ადიოდა მორცხვ გალაღებით...

მახსოვს საღამო. შენ ბრინჯაოს სვეტს მიეყუდე
და თვალთა სარკე აღტაცებით გიკამკამობდა...
გიღერ მას შემდეგ აგერ უკვე წელი მეხუთე!

არასდროს შენზე სიტყვა ჩემი არ თამამობდა,—
რამდენჯერ ვნება თავისუფლად გაშლას ლამობდა,
აგრამ სონეტის ტერცინებში მკაცრად შევხუთე!..

შ. ლორდელი

კოკიტი

იყო სიჩქარე, როგორც რიონი
და გაღიმება სახმილის ცეცხლი,
მე ვიყავ უცხო ენდიმიონი
და შენ სელენა ხმა მონავერცხლი.
დაიძრა უნდო აკვილიონი
და გაიყინა ცრუ ბედისწერა
სევდა დავთესე აქ მილიონი,
შავი თვალების დავკარგე ცქერა.
მზე ჩამეკარგა ბნელ ქოხმახებში,
ხავსი მოედო ნაწვიმარ ყავრებს;
სულს გავატარებ ცოდვის მახებში
და გადაუგდებ მას მინოტავრებს.
გაიცნობს გული კოკიტის ყინვას,
ჩაქრება ჟამთა ბურუსით დენა;
ვერვინ ვერ შესძლებს ჩვენ სახის ხილვას,
საფლავის ქვათა მკდვრეთით აღდგენას.
გაპარტახებულ ჩვენ სასაფლაოს
თავს წაადგება ხროვა მგელების.
ვინ შეავედრებს ჩვენ სულს საბაოთს,
ამაო არის ქნევა ხელების.

გრ. ზოდელი

ძველი ხსოვნები

თეთრი სამრეკლო.. მტირალი ქარში
შემობურვილი თალხი ბინდებით
გამახსენდება, როგორც სიზმარში
ჩუმი წამება. როს აინთება.
ყრუ სიჩუმეში ობოლი ქვარი
დარჩება, როგორც დაღლილი შუქი
ატირებს საფლავს ვარდები მჭკნარი
დამჭლე მავთულებს რუხი ქარ-ბუქი.
ღვთის მშობლის ხატი თეთრი ბადახში
მარგალიტებათ ნაცისკროვნები
ოჰ, ვერ ვივიწყებ როცა გადაშლის
ცრემლიან ფურცლებს ძველი ხსოვნებ

აკაკი ბერეკაშვილი

მ-XVIII-ტე საუკუნის ლოკრული თვალები

ოცნების აღსავლის კარებს დავრეკ-
და საიდუმლოებით შეცულ ღრმა წარსულში შევაღე.
ვხედავ სუროებში შეფარებულ სასახლეს, უცნაური კოშკები
დიდი წარსულით,-მუნჯი ლეგენდების აოცნებით რომელთაც
არც დასაწყისი აქვთ.
არც დასასრული, არც სახელი, არც შინაარსი.
და უცქერ უხილავს
და ვოცნებობ უოცნებოზე.
კოშკის ვიწრო სარკმელში თეთრი ასული გამოყვავილდა და
სუროს დაამშვენა
თავი სარკმლის ჩარჩოს მიაყრდნო
და ელის რაღაცას
და ელის ვიღაცას
ელის შორეულს, და არ იცის საიდან მოვა იგი,
როდის მოვა, ან თუ მოვა.
მხურვალეა მისი ვნება ისე, როგორც აღმოსავლეთის ლოცვა
და დნება ის,
როგორც ლიტრიანი სანთელი აღსავლის კარებთან.
იგი გახდა მოლოდინით, ისე როგორც ზამთრის ჭორი.
საიდუმლოვან სასახლეს ქულაჯიანი მხედარი მოადგა და დამბაჩა
დასცალა
ასული შეკრთა...
სუროს ფონმა ფერი იცვალა და ზღაპრული საოცრებით შეიმოსა.
სიონმა დარეკა
მცხეთამ ხმა გამოსცა
მთებმა მოიღრუბლა.
სასახლეს ჩრდილი დაეცა
ანაზდათ ხევში მხედრები გამოჩნდენ
იმღერიან:
„სამშობლოს მთები სიკვდილს გვასწავლის
სატრფოს ალერსი მტრის დამარცხებას“
და მტკვარში შეცურდენ.

ვერკვევი: არ ვიცი წიგნი ცოცხლთა, მიცვალებულთა
წიგნათ რათ მეჩვენება.

ვ. გორგაძე

დავით გურამიშვილი

1.

გურამიშვილზე ძალიან ცოტას სწერდნენ. ივი უთუოდ ღირსი იყო მეტი ყურადღებისა. გაფრინდა შვილმა აღნიშნა სწორი ხაზი მისი შემოქმედების, რომელიც დაუკავშირა ბოგემურ მსოფლ მხედველობას. მაგრამ მეორე და, მასთან, მთავარი მომენტი გურამიშვილის პოეზიის ტეისოფიაა, რომლის ლირიულ ფონზე სწირავდა ივი თავის ლექსებს. როგორც პოეტი-ივია პირველი რევოლუციონერი და რეფორმატორი თავის ეპოქის, რომელიც სულს ღაფავდა აბდერისტულ აზიის გავლენით. მართალია იყო ნიჭიერი სახელები თეიმურაზ I და სხვების-მაგრამ მათი ლექსების მოსაწყენი კადანსი კიდევ იგონებენ თეჯლისებს და მუხამბაზებს.

საჭირო იყო მეტი გამბედაობა და ნიჭი, რომ ქართული პოეზია დაბრუნებოდა თავის გზას და თავი დაეღწია მონგოლიზმის დამღუპველ კასტრაციისაგან. ხშირია მომენტები ქართულ პოეზიაში, როცა პოეტის შემოქმედება შებორკილი იყო პოლიტიკური სიტუაციით და უწყალოდ იშხამებოდა ეროვნული კულტურა.

თუმცა არას დროს არ ყოფილა უცხო გავლენა ეკლექტიურად ათვისებული. ამის მაგალითი ბევრია: მე X საუკ. უცნობი პოეტი ფილიპე, პიონერი ქარიული შაირის და შოთას წინამორბედი,-პირველად წინააღუდგა ბიზანტიის ეკლესიურ კლერიკალიზმს და პირველმა ამხილა სასულიერო პოეზიაში ქართული სულის უაღრესი ემპირიულობა. შემდეგ არის შოთა-ეს არისტოკრატი ქმედითი სიტყვის და ავანგარდი ქართული პოეზიის. არიან აგრეთვე რენესანსის პოეტები: შავთელი, ჩახრუხაძე. ამ პოეტებით თავდება აღორძინების ხანა და გზაც სამუდამოთ იკარგება.

ქართულ პოეზიას ეცემა დამბლა და მოდის ეპოქა აზიის ტყვეობის.

2.

გაგება ჰეშმარიტი პოეზიისა, როგორც გურამიშვილის დროს, აგრეთვე წინა ეპოქაში მეტად მდარე ხარისხის იყო. ლიტერატურის და პოეზიის პროტანებს ვერ არჩევდენ ჰეშმარიტი პოეტებისაგან. ამაზე ამბობდა გურამიშვილი: ერთბამად ფრინველთ უწოდენ შევარდენსა და ძერასა, არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა ბულბულთა ტკბილათ მღერასა. გურამიშვილი-მოვიდა როგორც უეცარი სტუმარი, რომელმაც პოეზიის ბაღში მოიტანა საკუთარი ვარდები და მიმოზები, ლექსის საკუთარი

პოდექსი, საკუთარი სურნელება და ფერი. გურამიშვილის სული ნაზია, ელასტიური. მან პარნასელებზე ადრე აღიარა ფორმის პრიმატი. მას აქვს ყველა მეტრი, რიტმი და რიფმა, გარდა 14 მარცვლოვანისა, რომელიც პირველად ბესიკმა შემოიღო. გურამიშვილის ლექსს დასჭირდება საკუთარი მკლევარი. ამ მხრით იგი მეტად საგულისხმოა ქართული ლექსის პრობლემისათვის. თავის ნიჭით და შემოქმედებით იგი გაგრძელებაა მე XII საუკ. კლასიკი პოეტების. გურამიშვილი პირველი გრძნობს იმ სიცალიერეს, რომელიც აშორებს მას წინათასგან: „ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახე“ (გვ 278 ზ. ჯ. გ.) მასში იყო შემოქმედების დიდი პოტენცია: „რაც დამრჩა ვერ ვსთქვი, შეწადა მეთქვა გრძლად თავი მეცადა, და მართლაც: მთელი მისი ბიოგრაფია არის ჯვარცმისა და წამების. ტყუილად არ ადარებს იგი თავისთავს ქრისტეს. პოეზიას ჰყავს თავის მარტვილნი. ასეთია გურამიშვილიც. მთელი მისი სახე დათოვლია სევდის უნაზესი ფერფლით და მზერა მალდაბრით შეფითრებული. პოეტის ცხოვრება მიდის „ყვითელ სატურნის“ ნიშნით და მწარე ტკივილები ახრჩობენ მას „აბსენტით დასნეულებულს“. არ არის მეორე სახელი, რომელიც ასე იყოს განწირული ცხოვრებისაგან: 19 წლის პოეტი დაატყვევეს. ტყვეობაში გადიტანა ბევრი და მცირება, დაცინვა. შემდეგ გაიპარა. დაიჭირეს. ცემეს. კიდევ გაიქცა და იხეტიალა უდაბნოში გზაში ხვდა ბევრი უბედურება. ღამის თევა, მხეცებთან ერთად. დაღესტნის მთებიდან ფეხით მიდის რუსეთში შიშველი, მშიერი. იღებს მონაწილეობას შვედებთან და პრუსიელებთან ომში. მიჰყავთ ტყვედ პრუსიელებს და სვამენ მაგდებურგის ციხეში. და ასე ყოველთვის: ავი დემონი სდევნის მას და ერთს წუთსაც ვერ ისვენებს პოეტი. ყველა უბედურებასთან ერთად პოეტს ხვდა წილად უშვილობა, რომელსაც უღმერთო მწუხარებით მოსთქვამს პოეტი თავის ლექსებში და, განსაკუთრებით, შესანიშნავ „ანდერძში.“ გურამიშვილმა შეიყვარა წამება და ტანჯვის კულტი აღიარა პოეზიაში. ამიტომ წარმოიდგენს იგი მაცხოვარს ჯვარზე გაკრულს ეკლის გვირგვინით და გვერდში ლახვარით, ღვთის მშობელს ატირებულს ქრისტეს საფლავთან. პოეტი მიმართავს ღვთის მშობელს ლოცვით: „მარიამ ქალწულო, სახით ოქროს სასანთლეო, ლამპარ განუმჭრალო, უსასყიდლო მარგალიტო ჟვირფასისა თვალო ანთრაკ-ალმას, საფირონო იაგუნდო ლალო... ცოდვის ლიას უკუვარდი ღრმად შიგ და ვეფალო თუ შენ მე არ აღმომიყვან ძნელად აღმოვალო“ მთელი სიცოცხლე პოეტმა გაატარა ტყვეობაში და ამიტომ: ვსტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა უბია.

საკუთარ თავთან გურამიშვილმა გამოიტირა სამშობლოს

სევდაც. იგი დიდი პატრიოტია თავისი დროჲს. მან გვიჩვენა სამშობლოს ყველა იარა და სთქვა საბედისწერო სიტყვა თანამედროვე საქართველოზე. მეტად რთული იყო მაშინდელ საქართველოს პოლიტიკური ვითარება. ეს იყო ჯანასკნელი გედის სიმღერა ბოლო საუკუნის-მწარე მონიბოს წინ. და აკი ცხარე ცრემლითაც გამოიტირა იგი პოეტმა უცხოეთში. პოეტი, როგორც პატრიოტი, ვერ ურიგდება საქართველოს დანაწილებას. დაუძლურებას:

„მეტად მწარედ გული მტკივა-მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს". მაღალი პატრიოტიზმით არის განათებული მთელი პირველი ნაწილი მისი ლექსების.

გურამიშვილი ვერ ასცდა დიდაქტიკას და თავის შემოქმედებაში ხშირად გამოდის, როგორც ჭკუის დამრიგებელი. მისი იდილიები და ეკლოგები (ქაცვია მწყემსი და სხვა) რეალიზმიდან გადადის ნატურალიზმში. მას არა აქვს დაწმენდილი ლირიკული თემა. არც სიტყვების შერჩევა. მაგრამ უკაბედი ლექსებით იგი იწვევს უამრავ ემოციებს. მას აქვს ძლიერი პათოსი და გრძნობის ამაყი გაჭანება. მისი სული-თითქოს უფსკრულის საბურველია, სადაც გრგვინავს მოვარდნილი გრიგალი და ცივდებიან გაქვავებული მეტეორები. პოეტი ქანაობს ორ სამყაროს შუა და მისი ცრემლები დარბილებულია ბიბლიური სინელით. გურამიშვილი ყველაზე მეტად გატაცებულია იმ ქვეყანათა შეხებით. მან ყველაზე მეტი მსხვერპლი მიიტანა რელიგიის სამსხვერპლოზე, საცა: თვით იყო მწირველიც და მლოცველიც მისი შემოქ. მეტაფიზიური აზრი ორ პრობლემის გარშემოა: სიკვდილის და სიცოცხლის. გამოსავალს პოეტი რელიგიაში პოულობს: „სიკვდილ სიცოცხლე ორივე არიან ღვთისა განგება". ამ ქვეყნად ყოფნა-ფუჭი-წარმავალი: იქ-კი სამარიდოსო. ასეთია მისი ლექსები: „ანდერძი დავით გურამიშვილისა" „სულის ამბავი" „სულის მოხსენება" და სხვ. გურამიშვილის თითქმის ყოველი ლექსი განწონილია ღრმა სარწმუნოების გრძნობით. ამ მხრითმას რამოდენიმე თ ენათესავება წერლენი. გევიხსენოთ მისი: „სიბრძნე რომელიც მან დასწერა საპოროზილეში, გურამიშვილი წარმოიდგენს სიკვდილს ცელით, როგორც ემილ ვერხარენი „სამი კუბოს" ტრაქტირში სისხლით გალეშილს, ნახევრად დახუჭული თვალებით.

მთელი სიცოცხლე პოეტმა გაატარა ტყვეობაში უცხოეთში სიბერის დროს დაბრმავება და სიკვდილი უცხოეთში, როგორც ფეერიული სიმბოლო თავზე ადგია მის განაწამებს სულს წავიდა იგი, როგორც მშვენიერი ლეგენდა.

თბილისი

დ ე კ ე მ ბ ე რ ი

1920

100 მანეთი

სტამბა ,,პროგრესი,,.